საექსპერტო დასკვნა

სამეურნეო და საწარმოო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის პროექტის
,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება #41”-ით დამტკიცებული ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის თაობაზე

პროექტის დასახელება : სამეურნეო და საწარმოო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობა
პროექტის მისამართთი : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #163
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი : 01.72.14.013.589

პროექტის არქიტექტორ(ებ)ი : დ. იაკობაშვილი
საპროექტო ორგანიზაცია : შპს „მანსარდა“, ს/კ 405385569

დამკვეთ(ებ)ი : შპს „მანსარდა“, ს/კ 405385569

საექსპერტო დასკვნის ავტორი: ერიკ კისელიოვი
საექსპერტო დასკვნის გაცემის თარიღი: 20 მასი 2024

შინაარსი

1. შესავალი
2. პროექტის აღწერა
3. შესაბამისობა უსაფრთხო წესების მოთხოვნებთან:
   - 3.1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება
   - 3.2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება
   - 3.3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება
   - 3.4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება
   - 3.5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება
   - 3.6. მისაწვდომობის შეფასება
   - 3.7. გარე კედლების ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება
   - 3.8. სახურავის ანაწყობების შეფასება
   - 3.9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასება
   - 3.10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება
   - 3.11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება
   - 3.12. ლიფტების შეფასება
   - 3.13. გარე კედლების მოპირკეთაბა, შიგა მოპირკეთება, საიზოლაციო, თერმოსაიზოლაციო და ორთქლსაიზოლაციო მასალები
4. დასკვნა
5. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

1. შესავალი

1. დამკვეთის მიერ წარდგენილი მასალა: პროექტის არქიტექტურული ნაწილი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 13-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით).
2. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში ძალაში მყოფ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
3. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხს აგებს საპროექტო დოკუმენტაციის მომწოდებელი მხარე.
4. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (მაგ., დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები გამოიყენება საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით.
5. პროექტში ნახსენები ყველა აქტიური ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა დეტალურად დამუშავებული უნდა იყოს შესაბამისი საინჟინრო პროექტებში .

2. პროექტის აღწერა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ბრძანება № 5328978,** გაცემის თარიღი 16/03/2021 წ.

მიწის ნაკვეთის მდებარეობის აღწერა

საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი 01.72.14.013.589) მდებარეობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 163, საერთო ფართობით 11247.0 კვ.მ. ტერიტორია დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ნაკვეთებითა და სამხრეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრიდან შემოსაზღვრულია საავტომობილო გზებით. ტერიტორიაზე შესასვლელი მოწყობილია აღმოსავლეთის მხრიდან. ტერიტორიაზე მოწყობილია შიდა სამანქანო გზა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მისასვლელს მის ყველა ნაწილთან . ტერიტორიაზე მოწყობილია ავტოსადგომები. მიწის ნაკვეთის რელიეფი ხასიათდება დონეთა სხვაობით, რომლის ნიშნულებიც მერყეობს 430,54-სა და 433,70 ნიშნულებს შორის.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

წარდგენილია 8-სართულიანი „სამეურნეო და საწარმოო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის“ პროექტი. შენობის ფუნქცია/დანიშნულებაა **სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი.**

მიწისქვედა სართულზე მოწყობილია სასაწყობო და დამხმარე-საინჟინრო სივრცეები.

მიწისპირა სართულზე წარდგენილია საოფისე, სასაწყობო, დამხმარე და ავტოშესაკეთებელი გარაჟის სივრცეები, ხოლო მიწისზედა სართულებზე განთავსებულია საწყობები, სადაც ინახება ახალი ავტომობილები და ავტონაწილები გასაყიდად.

მიწისპირა სართულზე განთავსებული ავტოშესაკეთებელი გარაჟი აგებულია 406.8.1 – 406.8.5 ქვეთავების შესაბამისად. შენობა გადახურულია ბრტყელი არაექსპლუატირებული სახურავით, რომელზეც მოეწყობა მზის პანელები. შენობას გააჩნია ორი გარე გასასვლელის გზა-კიბე, რომლებიც გამიჯნულია დანარჩენი სივცეებისგან ცეცხლგამძლე კედლით და ცეცხლმედეგი კარებით, და ერთი სატვირთო-სამგზავრო ლიფტი, რომელიც ყველა სართულზე უზრუნველყოფს შშმ პირების მისაწვდომობას. წარდგენილი ორი გარე გასასვლელის გზა-კიბე არის შშმ პირთათვის მისაწვდომი გასასვლელი საშუალებების ნაწილი და შეესაბამება 1007; 1007.2-3; 1007.3 პუნქტების მოთხოვნებს. არქიტექტურულად პროექტი წარმოადგენს თანამედროვე ტიპის არქიტექტურას, სადაც მოსაპირკეთებელ მასალად გამოყენებულია ტექსტურული ლესვა, შეღებვა, პირველი სართულის მოპირკეთება შესრულებულია ალუმინის ACP ALUCOBOND-ის პანელებით, ხოლო მიწისზედა 2-7 სართულების - ალუმინის ACP MULTIPERFORATED პანელებით . პროექტში წარდგენილია ლითონის მოაჯირები, მეტალოპლასტმანის კარ-ფანჯრები და გარაჟის ლითონის ჭიშკრები. მიწისზედა სართულები კლასიფიცირდება როგორც ღია ავტოდადგომი გარაჟი და საფასადე ალუმინის ACP პანელები ხელს არ უშლის ხაერის ბუნებრივ ვენტილაციას.

კონსტრუქციის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა

საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარდმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ სტრუქტურას:

- ✓ ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო : მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასი;
- ✓ გარე კედლები : შემავსებელი საკედლო ცემენტის ბლოკი (40*30*20 და 40*20*20);
- ✓ არამზიდი შიგა კედლები და ტიხრები : საკედლო ცემენტის ბლოკი (40*30*20);
- ✓ იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები :
  - მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა ;
  - გამთანაბრებელი ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვა ;
  - სასაწყობო და სარემონტო სივრცეებში **ბეტონის მოპრიალებული ზედაპირი;**

- პირველ სართულზე განთავსებული საოფისე და სხვა სივრცეებში მეტლახი და კერამოგრანიტი

✓ სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:

- მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა ;
- გამთანაბრებელი ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვა ;
- ჰიდროსაიზოლაციო შრე და ნაწილობრივად კერამოგრანიტი

3.1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

გამოყენება და დაკავებულობის კლასიფიცირება. დაკავებულობები კლასიფიცირებულია და განსაზღვრულია მე-3 თავის თანახმად. პროექტში იდენტიფიცირებულია შემდეგი დაკავებულობის სივრცეები:

- ✓ 304.1 მიხედვით, საქმიანი (სქ) დაკავებულობის სივრცეები ;
- ✓ 311.2 მიხედვით, სასაწყობო (სწ-1) დაკავებულობის სივრცეები;
- ✓ 311.3 მიხედვით, სასაწყობო (სწ-2) დაკავებულობის სივრცეები ;
- ✓ 312.1 მიხედვით, დამხმარე და სხვადასხვა (დს) დაკავებულობის სივრცეები.

დაკავებულობების დატვირთვ. დატვირთვის ფაქტორი ზემოაღნიშნული ჯგუფების სივრცეებისთვის განსაზღვრულია 1004 ქვეთავისა და 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით და აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში .

სივრცეების სპეციფიკაცია					
დაჯავებულობა			ფართი	დაჯავებულობის ფაქტორი	დაჯავებულობის დატვირთვა
სახანძრო სართული					
	დს	ლიფტის სამანქანო	8.2	27.90	1
	დს	საინჟინრო	51.6	27.90	2
	სწ-2	პროექტის საწყობი	1,247.9	46.50	27
I სართული					
	დს	გასახდელი	40.9	1004.4 თანახმად 21 ფიქსირებული დასაჯდომი	
	დს	საინჟინრო	22.3	27.90	1
	სქ	ოფისი	20.2	9.30	3
	სწ-1	ავტომესაჯეთებელი გახაჟი 1	511.3	9.30	55
	სწ-1	ავტომესაჯეთებელი გახაჟი 2	542.6	9.30	59
	სწ-1	ავტომესაჯეთებელი გახაჟი 3	128.3	9.30	14
	სწ-2	ინვენტარის საწყობი	5.4	46.50	1
	სწ-2	ინვენტარის საწყობი	5.0	46.50	1
	სწ-2	საწყობი	137.9	46.50	3
II სართული					
	სწ-2	პროექტის საწყობი	1,335.7	46.50	29
III სართული					
	სწ-2	პროექტის საწყობი	1,335.7	46.50	29
IV სართული					
	სწ-2	პროექტის საწყობი	1,335.7	46.50	29
V სართული					
	სწ-2	პროექტის საწყობი	1,335.7	46.50	29
VI სართული					
	სწ-2	პროექტის საწყობი	1,335.7	46.50	29
VII სართული					
	სწ-2	პროექტის საწყობი	1,335.7	46.50	29

დაკავებულობების კლასიფიცირება და დატვირთვა შეესაბამება ნორმების მოთხოვნებს.

3.2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

შენობის კონსტრუქციის ტიპების განსაზღვრა შესრულებულია 602 და 503 ცხრილების ანალიზის საფუძველზე, და მიღებულია როგორც I-A .

შენობის ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 601 ქვეთავში, 601 ცხრილში და I-A ტიპის კონსტრუქციებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, სახელდობრ:

- ✓ ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო - 3 საათი
- ✓ მზიდი გარე და შიგა კედლები - 3 საათი
- ✓ **არამზიდი გარე კედლები და ტიხრები** - 602 ცხრილის თანახმად ასახულია პროექტში
- ✓ არამზიდი შიგა კედლები და ტიხრები - 0 საათი
- ✓ იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 2 საათი
- ✓ სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 1,5 საათი

3.3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

დაკავებულობის სივრცეების სართულიანობა , სიმაღლე განსაზღვრულია ზემოთაღნიშნული წესების მე-5 თავში (503-ე ცხრილში) , სადაც სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მიწის დონის ნიშნულის ზემოთ.

შენობის სიმაღლე არის შვეული მანძილი მიწის დონისა და სახურავის ყველაზე მაღალი ზედაპირის საშუალო სიმაღლის ნიშნულამდე და შეადგენს 25,70 მ-ს .
შენობის ზედა დაკავებული სართულის იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომის დონიდან 21,15 მ-ით მაღლა.
შენობის საერთო ფართობი შეადგენს 11511,6 მ^2-ს .
დაკავებულობების სივრცეების შემოთავაზებული ფართობების ჯამი შეადგენს 10735,8 მ2-ს

საპროექტო შენობის დაკავებულობების ჯგუფებიდან და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე, შენობის წარდგენილი სართულიანობა , სიმაღლე და ფართობი აკმაყოფილებს ზემოტაღნიშნულ ნორმებს.

3.4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი , გასასვლელი , შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სივრცის დაკავებულობის , დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე, მე-10 თავის შესაბამისად.

- ✓ გასასვლელების რაოდენობა. 1015; 1021 ქვეთავის 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილების თანახმად, ყველა დაკავებული სივრცეებიდან გასასვლელი საშუალებების რაოდენობა და მოწყობა შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს .
- ✓ გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი განისაზღვრება 1016 ქვეთავის (1016.2 ცხრილის) მოთხოვნებით. შენობის ყველა სართულის ყველაზე მოშორებულ წერტილიდან გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი შეესაბამება ნორნატიულ მოთხოვნებს.

- ✓ გასასვლელის გზა-კიბეები. წარდგენილი ორი **გარე გასასვლელი გზა-კიბე,** პარამეტრებით და ელემენტებით აკმაყოფილებს 1009; 1026 ქვეთავების მოთხოვნებს;
- ✓ სახელურები და მოაჯირები . კიბეების, ტერასის, სახურავების და მიწისზედა სართულების დამცავი მოაჯირი ელემენტები შეესაბამება 1012 და 1013 მოთხოვნებს .
- ✓ გამოსასვლელი კარები. შენობაში მოწყობილია ჩვეულებრივი კარები, რომლებიც მოძრაობს ღერძზე . ყველა კარის პარამეტრები (ზომა, კარის გაღება (1008.1.2), ორიენტაცია) განსაზღვრულია 1008 ქვეთავის დებულებებში და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
- ✓ შენობიდან გამოსასვლელები. შენობა უზრუნველყოფილია შენობიდან გამოსასვლელებით. პროექტში თითოეული შენობიდან გამოსასვლელის კომპონენტები და სხვა პარამეტრები, როგორიცაა სიგანე, გასასვლელის შიგა ეზო, საზოგადოებრივ გზასთან მისადგომი, განსაზღვრულია და შეესაბამება 1027; 1027.1; 1027.4; 1027.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ✓ გასასვლელის ნიშნების საჭიროება. პროექტში გასასვლელის ნიშნების მოწყობა , განათებულობა , დენის წყარო , მუშაობის ხანგრძლივობა და სხვა პარამეტრები შეესაბამება 1011; 1011.1 ქვეთავის და პუნქტების მოთხოვნებს. ქვემოთ ჩამოთვლილი უზრუნველყოფილია გასასვლელის ნიშნებით :
  - თავშესაფრის ფართობი;
  - გზა-კიბეები ;
  - გასასვლელი გზები ;
  - გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები ;
  - შენობიდან და სივრცეებიდან გამოსასვლელი კარები .
- ✓ გასასვლელი საშუალებების განათებულობა. პროექტში წარდგენილი გასასვლელი საშუალებების განათებულობის დონე, სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემის ავარიული მუშაობის ხანგრძლივობა და სხვა აუცილებელი პარამეტრები შეესაბამება 1006 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელის სისტემის ყველა ზემოაღნიშნული ელემენტი აკმაყოფილებს მოქმედ ნორმებს.

3.5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

გასასვლელების სისტემაში თითოეული ელემენტის გამტარუნარიანობა დამოკიდებულია იმ დაკავებულობის დატვირთვაზე (1004.1.1 ცხრილი), რომელსაც ის ემსახურება.

- ✓ გასავლელები და გასავლელთან მისადგომი გზები . შენობაში ყველა დაკავებულობის ფართობში გასავლელები და გასავლელთან მისადგომი გზების პარამეტრები და გამტარუნარიანობა შეესაბამება 1017.1 პუნქტის მოთხოვნებს;
- ✓ გზა-კიბეები. გზა-კიბეების სიგანე განსაზღვრულია 1009.4 პუნქტის დებულებებში. ყველა გზა-კიბის გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს (1005.3.1; 1004; 1007.3 პუნქტების და 1004.1.2 ცხრილის თანახმად);
- ✓ გასავლელები. გასავლელების სიგანე და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია და შეესაბამება 1017; 1028.10; 1028.10.1.1 პუნქტების მოთხოვნებს.
- ✓ შენობიდან გამოსასვლელი. პროექტში შენობიდან თითოეული გამოსასვლელის, გასასვლელის შიგა ეზოს, საზოგადოებრივ გზასთან მისადგომის გამტარუნარიანობა , სიგანე და სხვა ფაქტორი განსაზღვრულია და შეესაბამება 1009; 1027 ქვეთავების მოთხოვნებს;

- ✓ გამოსასვლელი კარები . შენობაში ყველა მოწყობილი გამოსასვლელი კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 პუნქტის მოთხოვნების მიხედვით, დაკავებულობის დატვირთვის გათვალისწინებით. ყველა გამოსასვლელი კარის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 პუნქტში განსაზღვრული გამტარუნარიანობის ფაქტორი. ყველა გამოსასვლელი კარის გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.6. მისაწვდომობის შეფასება

საპროექტო შენობაში სივრცეები, ადგილები, საშუალებები და ელემენტები მისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

- ✓ მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები . 1007.1; 1007.2; 1007.6 ქვეპუნქტების თანახმად, ყველა სართულიდან გათვალისწინებულია აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რომლებიც უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს შემდეგ კომპონენტს:
  - 1104-ე ქვეთავის შესაბამისი მისაწვდომი სვლაგეზები;
  - გზა-კიბეები , რომლებიც 1007.3 და 1009.3 ქვეთავების შესაბამისადაა მოწყობილი;
  - 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართები.

- ✓ მისაწვდომი სვლაგეზი :
  - მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები. 1104.1 ქვეთავის თანახმად, მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით შენობის მისაწვდომ შესასვლელამდე ;
  - შენობაში მისაწვდომი სივრცეები. 1104.3 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, შენობის ყველა სართულის გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი . **შენიშვნა: მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დებულებების თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5.1; 403.5.2; 403.5.3; 403.5.4 და 404.2.3 ქვეთავის დებულებებს.**
  - შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი შესასვლელებით, რომლებიც შეესაბამება 1105 ქვეთავის მოთხოვნებს ;
  - 1702.4 თანახმად, პროექტში გათვალისწინებულია ლიფტი, რომლებშიც შესაძლებელია საკაცის განთავსება ზომებით 2,15*0,60 და რომელიც ყველა სართულზე ემსახურება შშმ პირებს და უზრუნველყოფს მისაწვდომობას ;

- ✓ თავშესაფრის ფართობები. პროექტში 1007.2; 1007.6 და 1025 ქვეთავების თანახმად, ყველა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც არის შენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ელემენტი და უზრუნველყოფილია თავშესაფრის ფართობებით. თავშესაფრის ფართობები თავისი ზომებით, რაოდენობით , გამიჯვნის ხარისხით და სხვა პარამეტრებით შეესაბამება 1007.6 ქვეთავის მოთხოვნებს. **შენიშვნა: მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დებულებების თანახმად აღნიშნული ელემენტი პარამეტრებით შეესაბამება 802.1; 802.4 ქვეთავის დებულებებს.**

- ✓ მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები. პროექტში წარდგენილი ყველა მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე თავისი ზომებით, რაოდენობით და სხვა პარამეტრებით შეესაბამება 1106 ქვეთავის და ცხრილი 1106.1 მოთხოვნებს.

- ✓ საოჯახო და სხვისი დახმარებით გამოყენებადი ტუალეტი. 1109.2.1.2; 1602.1.2; 1602.2.1 თანახმად, შენობაში მოწყობილია ამგვარი ტუალეტი. **შენიშვნა: მისაწვდომობის**

ეროვნული სტანდარტების დებულებების თანახმად აღნიშნული ელემენტი პარამეტრებით შეესაბამება 604 ქვეთავის დებულებებს.

- ✓ მისაწვდომი შესასვლელი შენობაში. შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი შესასვლელებით, რომელიც რაოდენობით და პარამეტრებით შეესაბამება 1105 ქვეთავის მოთხოვნილ დებულებებს.

- ✓ მისაწვდომობის ნიშანთა სისტემა. 1011; 1011.4; 1110 ქვეთავის თანახმად, საპროექტო ტერიტორია და შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოების ნიშნებით. 1011.3 თანახმად, გასასვლელის ნიშნები უნდა იყოს განათებული შიგნიდან.
  - გასასვლელი გზა;
  - მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები;
  - გასასვლელი საშუალებების გზა-კარები;
  - თავშესაფრის მისაწვდომი ფართობები ;
  - მისაწვდომი შესასვლელები შენობაში.

3.7. გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება

ცხრილი 602 განსაზღვრავს ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნებს, გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე . ყველა გარე კედელს მინიჭებულია ცეცხლმედეგობის ხარისხი. ყველა გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტში წარდგენილი შემდეგი პარამეტრები, როგორიცაა გარე კედლების მოწყობა , ელემენტები , არაწვადი საიზოლაციო მასალები და ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება მე-14 თავის და 721.1(2) ცხრილის მოთხოვნებს .

705 ქვეთავი (ცხრილი 705.8) განსაზღვრავს გარე კედლების ღიობების მაქსიმალურ ფართობს და ღიობის დაცვის ხარისხს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით. ყველა გარე კედლის ღიობების (ფანჯრები, კარები, ვიტრაჟები) ფართობი და დაცვის ხარისხი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია ცხრილი 601- ით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი არ აღემატება I-A ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ *1,5 საათიან* ცეცხლმედეგობის ხარისხს.

მე-15 თავის დებულებებით რეგულირდება სახურავის ანაწყობების დაგეგმარება, მასალები, მშენებლობა და ხარისხი. 1505 ქვეთავის 1505.1 ცხრილის მიხედვით, სახურავების ანაწყობები მიეკუთვნება B კლასს. 1505.3 ქვეთავის თანახმად, B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

პროექტში წარდგენილი სახურავის სტრუქტურული ნაწილები , ანაწყობები , ელემენტები , არაწვადი საიზოლაციო მასალები და ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება მე-15 თავის, 721.1(1) და 721.1(3) ცხრილების მოთხოვნებს .

3.9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

პასიური დამცავი საშუალებები . მე-7-ე თავის დებულებებით რეგულირდება მასალები, სისტემები და ანაწყობები, რომლებიც გამოიყენება ნაგებობის ცეცხლმედეგობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქციებისათვის, რომლებიც მომიჯნავე სივრცეებს ყოფს და შენობას ცეცხლისა და კვამლის გავრცელებისაგან იცავს, ასევე ზღუდავს ცეცხლის გავრცელებას მოსაზღვრე შენობებისკენ ან შენობებიდან . პროექტში განსაზღვრულია შემდეგი პასიური დამცავი საშუალებები :

- ✓ ცეცხლმედეგი ზღუდეები და გამმიჯნავი კედლები.
  - შახტები (გზა-კიბეების და საინჟინრო შახტები). შახტების აგება, მასალები, შემომზღუდავები , უწყვეტობა, ცეცხლმედეგობის ხარისხი, შახტის თავის შემოზღუდვა და სხვა პარამეტრები შეესაბამება 707, 711, 705.5, 711.4; 713.4; 713.5; 713,12 ქვეთავების დებულებებს და შეადგენს ***2 სათს*** ;
  - გარე გზა-კიბეების შემომზღუდავები. 1026.6; 1022.2 თანახმად, გერე გზა-კიბეების შემოზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს ***2 სათს ;***
  - სარდაფი სართულის დონეზე, გზა-კიბები აქვს შემოზღუდული ცეცხლმედეგი კედლებით დამოუკიდებლად განიავებადი წინამო (ფოიე/ვესტიბული) ;
  - პირველი სართულის დონეზე, 508.4 ცხრილის თანახმად, სწ-1 და სწ-2 ფართობების შორის გამმიჯნავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს ***1 სათს*** ;

- ✓ კვამლგაუმტარი ზღუდე. 1007.6.2 თანახმად, 1-ლი სართულის გარდა დანარჩენ სართულებზე მოწყობილია თავშესაფრის ფართობი, რომელიც სართულის დანარჩენი ნაწილებისგან გამიჯნულია 709-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული კვამლგაუმტარი ზღუდით .

- ✓ თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი. 711.3; 707.3.10 ქვეთავის და 601 ცხრილის თანახმად, თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს :
  - იატაკის კონსტრუქციის (არაძირითადი ნაწილებით) სართულებს შორის - ***2 სათს;***
  - სახურავის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შენობის კონსტრუქციის ტიპისათვის გათვალისწინებულზე ნაკლები არ უნდა იყოს. შენობის სახურავის კონსტრუქციის (არაძირითადი ნაწილების ჩათვლით) ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს ***1.5 სათს*** ;

- ✓ ღიობის დამცავები. ცეცხლმედეგი კარების პარამეტრები შეესაბამება 716 ქვეთავის მოთხოვნებს. 716.5 და 716.6 ცხრილებში მოცემულია ღიობის დამცავების მინიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხი, ანაწყობის ტიპები და ანაწყობისთვის აუცილებელი ხარისხი:
  - 1022.2 თანახმად, გზა-კიბეების ცეცხლმედეგ ზღუდეებში განთავსებული გასასვლელი კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს ***1,5 სათს ;***
  - 710.5.2.1 – 710.5.2.3 ქვეთავების თანახმად, თავშესაფრის ფართობის სივრცეების დამცავი კარები უზრუნველყოფს კვამლის და წევის კონტროლს და არის თვითიკეტებადი.)
  - 716.5 ცხრილის თანახმად, სწ-1 და სწ-2 ფართობების შორის გამმიჯნავი კედლებში განთავსებული კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს ***1 სათს*** .

- ✓ იატაკის ზედაპირი. 406.4.5 თანახმად, სწ-1 და სწ-2 იატაკის ზედაპირი გაკეთებულია ბეტონით (არაწვადი მასალით, რომელსაც არა აქვს შეწოვის უნარი).

პროექტში წარდგენილი ყველა პასიური ხანძარსაწინააღმდეგო საშუალება აკმაყოფილებს მოქმედ ნორმებს.

3.10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

პროექტში განსაზღვრულია შემდეგი აქტიური დამცავი სისტემები:

- ✓ ავტოსაშხეფი სისტემა.
  - 903.2.11: 903.2.11.1 თანახმად, სარდაფის სართულში ავტოსაშხეფი სისტემა **გათვალისწინებულია;**
  - 903.2.9 თანახმად, პირველ სართულზე განთავსებული სწ-1 დაკავებულობების სივრცეებში ავტოსაშხეფი სისტემა **საჭირო არ არის** , რადგან აკმაყოფილებს ქვეპუნქტების 1 , 2 , 3 , 4 და 5 მოთხოვნებს;
  - 903.2.9.1 თანახმად, პირველ სართულზე განთავსებული ავტოშესაკეთებელი გარაჟის სივრცეებში ავტოსაშხეფი სისტემა **საჭირო არ არის** , რადგან აკმაყოფილებს ქვეპუნქტების 1 , 2 , 3 და 4 მოთხოვნებს;
  - 903; 903.2.10 და 406.4; 406.5 თანახმად, მიწისზედა სართულებზე სწ-2 დაკავებულობაში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ღია ტიპის ავტოსადგომი, ავტოსაშხეფი სისტემა **საჭირო არ არის**;

- ✓ ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები. 904 ქვეთავების თანახმად, **საჭირო არ არის**;

- ✓ სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები .
  - **სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი.** 907.2 თანახმად, ყველა სართულზე **გათვალისწინებულია** თითო-თითო კოლოფი **;**
  - **სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა.** 907.2.9; 907.2.9.1-3 თანახმად, ყველა სართულზე სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა **გათვალისწინებულია;**

- ✓ სახანძრო მილდგარების სისტემა. 406.5.8; 905.1 თანახმად, **შემობა უზრუნველყოფილია სახანძრო მილდგარების სისტემით** . შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო კარადების სისტემა. გარდა ამისა, 905.4 მე-5 პუნქტის თანახმად და 1009.16 ქვეთავის შესაბამისად, **გათვალისწინებულია** სახელოს მისაერთებლები, რომლებიც მოემსახურება სახურავებს ;

- ✓ კვამლის საკონტროლო სისტემები. 909 ქვეპუნქტების თანახმად, სარდაფის და პირველი სართულის სივრცეებში **გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო სისტემების მოწყობა** .
  - მექანიკური განიავება. 406.8.2 თანახმად, სქ-1 ავტოშესაკეთებელი გარაჟი მექანიკურად უნდა ნიავდებოდეს. განიავების სისტემის საკონტროლო მექანიზმი გარაჟის შესასვლელში უნდა მდებარეობდეს;

- ✓ 909.11 თანახმად, კვამლის საკონტროლო სისტემა აღჭურვილია ელექტროენერგიით ორი წყაროდან, მათ შორის **სათადარიგო ელექტროენერგიით** ;

- ✓ ხელის ცეცხლმაქრები. 906.1 ქვეთავის თანახმად, შენობის ყველა სივრცეში ხელის ცეცხლმაქრები **გათვალისწინებულია;**

- ✓ საავარიო განგაშის სისტემები.
  - აალებადი აირის აღმომჩენი სისტემები. შენობაში აალებადი აირზე მომუშავე სისტემები და მექანიზმები არ არის და 908.5 პუნქტის თანახმად ამგვარი **აალებადი აირის აღმომჩენი საავარიო განგაშის სისტემები** პროექტში გათვალისწინებული არ არის ;
  - მხუთავი აირის აღმომჩენი სისტემები. სწ-1 ავტოშესაკეთებელი გარაჟის სივრცეში 908.7.1 პუნქტის მიხედვით, **გათვალისწინებულია** აღნიშნული **მხუთავი აირის აღმომჩენი სისტემები**, რომლებიც აკმაყოფილებს NFPA 720 და UL 2075-ის მოთხოვნებს.

- ✓ სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები პროექტში **საჭირო არ არის**;

- ✓ განიავებისადმი მოთხოვნები და კვამლისა და სითბოს გაწოვა.
  - 910; 910.2; 910.4; 1022.6; 1704; 1706.2 ქვეთავების თანახმად, კვამლის მექანიკური გამწოვების სისტემები **განთავსებულია შენობაში**;
  - 713.14.1-6 გამონაკლისის და 909.21 ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულო შემოზღუდული ლიფტის ფოიეს ნაცვლად, ლიფტის შახტაში მოწყობილია დაწნევის სისტემა, რომელიც შეესაბამება 909.21.1 - 909.21.11 ქვეთავების დებულებებს;
  - 713.14.1-3 გამონაკლისის ქვეპუნქტის თანახმად, აუცილებელი შემოზღუდული ლიფტის ფოიეს ნაცვლად, ლიფტის შახტის ღიობს აქვს 1702.6 ქვეთავის შესაბამისი დამატებითი კარები, რომელიც აკმაყოფილებს 716.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს, რომლებიც კვამლის ან წევის საკონტროლო კარის ანაწყობს ეხება. გარდა ამისა, ამგვარი კარები უნდა აკმაყოფილებდეს UL 1784-ის დებულებებს.

- ✓ გასასვლელი საშუალებების განათებულობა. 1006 ქვეთავების თანახმად, **შენობის გასასვლელი საშუალებების** სივრცეში მისი **დაყენება გათვალისწინებულია.** გასასვლელი საშუალებების განათებულობის დონე, სათადარიგო ელექტრომომარაგება, განათებულობის დონე საგანგებო ელექტრომომარაგების დროს და სხვა პარამეტრები შეესაბამება 1006 ქვეთავის მოთხოვნებს ;

- ✓ გასასვლელის ნიშნები. შენობა **უზრუნველყოფილია გასასვლელის ნიშნებით.** ამ ნიშნების განათებულობა, მდებარეობა, დენის წყარო უნდა შეესაბამებოდეს 1011 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ✓ ორმხრივი კავშირი. 1007.6.3 თანახმად, თავშესაფრის ფართობებზე 1007.8.1 და 1007.8.2 ქვეთავების შესაბამისი **ორმხრივი კავშირის სისტემა დაყენებულია;**

- ✓ ლიფტი. ლიფტის შახტა, შახტის ვენტილაცია, ლიფტის კაბინის, ლიფტის საგანგებო ვითარებაში მუშაობის რეჟიმი და სხვა პარემეტრები შეესაბამება მე-17 თავის 1702.3 პუნქტის მოთხოვნებს;

პროექტში წარდგენილი ყველა აქტიური ხანძარსაწინააღმდეგო საშუალება აკმაყოფილებს მოქმედ ნორმებს.

3.11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ტიპები და რაოდენობა, განსაზღვრულია 1602.1 ცხრილის დაკავებულობის ტიპების და დაკავებულობის დატვირთვების მიხედვით.

მოწყობილობების რაოდენობის გამოთვლა. 1602.1.1 პუნქტის გამონაკლისის თანახმად, თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, საერთო დაკავებულობის დატვირთვის გაყოფა ორზე საჭირო არ არის, რადგან აღიარებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შენონობაში იმყოფებიან მხოლოდ მამაკაცები.

საოჯახო და სხვისი დახმარებით გამოყენებადი ტუალეტი. 1602.1.2 პროექტში ამგვარი ტუალეტი წარდგენილია.

ტუალეტების მდებარეობა დაკავებულობებში. 1602.3.2 ქვეპუნქტის **გამონაკლისის** მიხედვით , სამრეწველო და საწარმოო დაკავებულობებში თანამშრომლებისათვის განკუთვნილ აუცილებელ

ტუალეტებთან მისასვლელი ბილიკის მდებარეობა და მაქსიმალური სიგრძე შეესაბამება ამ ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შენობის სივრცეებში წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ტიპები და რაოდენობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

3.12. ლიფტების შეფასება

- ✓ ლიფტის შემოზღუდული ფოიე . 713.14.1 თანახმად, ყველა სართულზე სავალდებულო ლიფტის შემოზღუდული ფოიეს ნაცვლად, აღნიშნული პუნქტის მე-6 გამონაკლისის დებულიბების თანახმად, ლიფტის შახტაში მოწყობილია დაწნევის სისტემა;
- ✓ სათადარიგო ელექტროენერგია. 909.21.5 თანახმად, ლიფტის შახტაში გათვალისწინებული დაწნევის სისტემა უზრუნველყოფილია სათადარიგო ელექტროენერგიით, რომელიც იმავე წყაროდან მარაგდება, რომლიდანაც შენობაში არსებული სხვა აუცილებელი საავარიო სისტემები.
- ✓ ლიფტის კაბინა, რომელშიც შესაძლებელია საკაცის შეტანა. 1702.4 თანახმად, ლიფტის კაბინა ისეთია, რომ საგანგებო ვითარებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ყველა იატაკზე მოხვედრა შეძლოს. ლიფტის კაბინაში შესაძლებელია საკაცის განთავსება 60 სმ × 2,15 მ ზომის.

ლიფტის ყველა ელემენტის პარამეტრები აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს .

3.13. გარე კედლების მოპირკეთაბა, შიგა მოპირკეთება, საიზოლაციო, თერმოსაიზოლაციო და ორთქლსაიზოლაციო მასალები

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებები შეესაბამება მე-7თავის დებულებებს:

- თერმული და ხმის საიზოლაციო მასალები. 720.1; 720.2; 720.3 თანახმად, შენობის დამალულ სივრცეებში განთავსებული საიზოლაციო მასალების (როგორცაა მინერალური ბამბა MW, ორთქლსაიზოლაციო PE კილიტა ფენა, თაბაშირ-მუყაოს პანელი, ცემენტის ფითხი, ექსტრუდირებული პოლისტირონის პანელი XPS) ალის გავრცელების ინდექსი არ აღემატება 25-ს, ხოლო კვამლის წარმოქმნის ინდექსი - 450-ს;

შიგა მოპირკეთება. პროექტში შიგა მოპირკეთების, მორთულობისა და დეკორატიული მასალების პარამეტრები შეესაბამება მე-8 თავის მოთხოვნებს. 803.1.1 ქვეთავის თანახმად, შიგა კედლისა და ჭერის მოსაპირკეთებელი მასალები კლასიფიცირდება ASTM E 84-ისა და UL 723-ის შესაბამისად. ასეთი შიგა მოსაპირკეთებელი მასალები ალის გავრცელებისა და კვამლის წარმოქმნის ინდექსების მიხედვით კლასიფიცირებულია C კლასად.

- შიგა კედლისა და ჭერის მოპირკეთება. 803.1.1 და 803.9 ცხრილის თანახმად, შიგა კედლისა და ჭერის მოსაპირკეთებელი მასალები შეესაბამება C კლასს;
- შიგა იატაკის მოპირკეთება. 804 თანახმად, პროექტში წარდგენილი შიგა იატაკების მოპირკეთების მასალები თავისი პარამეტრებით აკმაყოფილებს NFPA 253-ის ნორმების მოთხოვნებს;

გარე კედლები. მე-14 თავის დებულებების თანახმად, პროექტში წარდგენილია გარე კედლების ელემენტები და მასალები, როგორიცაა ექსტრუდირებული პოლისტირონის XPS, ალუმინის ALUCOBOND პანელი და ALUMINIUM multiperforated metal პანელი.

- გარე კედლების ასაგებად და გარე კედლების საფრების გამოყენებული მასალები, რომელიც წარდგენილია პროექტში: ცემენტის ფითხი, ექსტრუდირებული პოლისტირონის პანელი XPS და სხვა, შეესაბამება 1400; 1404 პუნკტების მოთხოვნებს.

- ლითონშემცველი მასალები: პროექტში წარდგენილია საფასადე პანელები ACP (aluminum composite panel) ALUCOBOND. 1407.8 თანახმად, აღნიშნული ლითონშემცველი მასალა არ შეიცავს ქაფპლასტის იზოლაციას და მოწყობილია ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გარე კედლის გარეთა ზედაპირზე. 1407.9; 1407.10 თანახმად, აღნიშნული ლითონშემცველი მასალების ღია წვის თვისებები, როგორიცაა ალის გავრცელების ინდექსი 75-ზე ნაკლებია, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი 450-ზე ნაკლებია;
- ლითონის საფრები: 1405.11 თანახმად, პროექტში წარდგენილი საფასადე ლითონის საფრები ALUMINIUM multiperforated metal panel, პარამეტრებით შეესაბამება ნორმების მოთხოვნებს.

4. დასკვნა

ზემომოყვანილიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ **„სამეურნეო და საწარმოო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის“** მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია სრულიად შეესაბამება ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41”-ით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს.

ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტეკნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას.
საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: არქიტექტორი  ე. კისელიოვი

5. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

1. საქართველოს კანონი "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" ;
2. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" ;
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 ;
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 41 ;
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №732 ;
6. NFPA კოდები და სტანდარტები ;

.

საექსპერტო დასკვნა

სამეურნეო და საწარმოო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის პროექტის
,,საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკენბრის დადგენილება #732”-ით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებთან“ შესაბამისობის თაობაზე

პროექტის დასახელება : სამეურნეო და საწარმოო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობა
პროექტის მისამართთი : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #163
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი : 01.72.14.013.589

პროექტის არქიტექტორ(ებ)ი : დ. იაკობაშვილი
საპროექტო ორგანიზაცია : შპს „მანსარდა“, ს/კ 405385569

დამკვეთ(ებ)ი : შპს „მანსარდა“, ს/კ 405385569

საექსპერტო დასკვნის ავტორი: ერიკ კისელიოვი
საექსპერტო დასკვნის გაცემის თარიღი: 20 მაისი 2024

შინაარსი

1. შეაბამისობა მისაწვდომობის ეროვნილი სტანდარტების მოთხოვმებთან :
   1.1. შენობების ბლოკები ;
   1.2. მისაწვდომი სვლაგეზები;
   1.3. ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები;
   1.4. წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები;
   1.5. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები;
   1.6. სპეციალური ოთახები და სივრცეები;
   1.7. ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები;
   1.8. სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებები (10 თავი);
   1.9. საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები.
2. დასკვნა

1.1. შენობების ბლოკები (3 თავი)

იატაკის ზედაპირები . 302.1; 303 თანახმად , შენობაში (მისაწვდომობის სვლაგეზების ზონაში) იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი, არასრიალა და შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს .

მოსატრიალებელი წრიული სივრცეები. 304.3.1 თანახმად , შენობასა და მისაწვდომ საშუალებებში წარდგენილია მოსატრიალებელი წრიული სივრცეების საშუალებები .

მოსატრიალებელი T-ფორმის სივრცე . 304.3.2 თანახმად, შენობასა და მისაწვდომ საშუალებებში წარდგენილია მოსატრიალებელი T-ფორმის სივრცეების საშუალებები.

1.2. მისაწვდომი სვლაგეზები

სავალი ზედაპირები. შენობაში და შენობის გარეთ წარდგენილი ზედაპირები თავისი სიგანით, დონის შეცვლით, დახრით და სხვა პარამეტრებით შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს.

კარი, გზა-კარები და ჭიშკრები. შენობაში წარდგენილი კარები და გზა-კარები თავისი სიგანით, თავისუფალი სივრცეებით კარებთან მანევრირებისთვის და სხვა პარამეტრებით შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს.

ორი კარი ან ჭიშკარი მწკრივში. შენობაში წარდგენილი კარები მწკრივში შეესაბამება 404.2.5 მოთხოვნებს .

ლიფტები. შენობაში წარდგენილი სატვირთო ლიფტი თავისი ლიფტის გამოსაძახებელი ღილაკების და სხვა პარამეტრებით შეესაბამება 407; 407.2.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ლიფტის კაბინისადმი მოთხოვნები და ლიფტის კაბინის ზომები. აღნიშნული ზომები შეესაბამება 407.4; 407.4.1 და 407.4.1 ცხრილის მოთხოვნებს

ლიფტის კართან დაკავშირებული მოთხოვნები. შენობაში წარდგენილი ლიფტების კარის ტიპი, სიმაღლე , სიგანე, და სხვა პარამეტრები შეესაბამება 407.3 მოთხოვნებს.

1.3. ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები (5 თავი)

გზა-კიბეები. შენობაში წარდგენილი გზა-კიბეების ელემენტები - საფეხურების საბიჯელები და ამაღლებები, საბიჯელის ზედაპირი , სიგანე, მოაჯირები, სახელურები და სხვა პარამეტრები შეესაბამება 504 მოთხოვნებს.

სახელურები. მდებარეობა, უწყვეტობა, სიმაღლე, თავისუფალი სივრცე, განივი კვეთი და სხვა პარამეტრები შეესაბამება 505 მოთხოვნებს.

1.4. წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები

წყლის დასალევი შადრევნები. შენობაში წარდგენილი ამგვარი ელემენტის იატაკის თავისუფალი სივრცე , სიმაღლე, მდებარეობა და სხვა პარამეტრები შეესაბამება 602 მოთხოვნებს.

ტუალეტის ოთახი. მიწისპირა სართულზე განთავსებული, მისაწვდომი და სხვისი დახმარებით გამოყენებული ტუალეტის თავისუფალი სივრცე, კარის გაღება და სხვა პარამეტრები შეესაბამება 603 მოთხოვნებს.

უნიტაზები და ტუალეტის ნაკვეთურები . მისაწვდომი და სხვისი დახმარებით გამოყენებული ტუალეტის სივრცეში განთავსებული ამგვარი ელემენტების მდებარეობა, თავისუფალი სივრცე, დამაგრებული ხელმოსაჭიდი ძელები და სხვა პარამეტრები შეესაბამება 604 მოთხოვნებს.

ხელსაბანები და ნიჟარები . მისაწვდომი და სხვისი დახმარებით გამოყენებული ტუალეტის სივრცეში განთავსებული ამგვარი ელემენტების იატაკის თავისუფალი სივრცე, სიმაღლე და სხვა პარამეტრები შეესაბამება 606 მოთხოვნებს.

1.5. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები (7 თავი)

ნიშნები. პროექტში წარდგენილი შიგა და გარე ნიშნები, რომლებიც აღნიშნავენ ოთახებს, სივრცეებს, ლიფტებს , კიბის უჯრედებს , გასასვლელ კარებს, გზა-დერეფნებს და დერეფნებს , ტუალეტების ოთახებს , სართულების დონეებს, თავშესაფრის ფართობებს, მიმართულების მაჩვენებლებს და სხვა. აღნიშნული ნიშნების შრიფტი , სტილი , სიმბოლოს ზომა, დაშორება სიმბოლოებს შორის და სხვა პარამეტრები შეესაბამება 703 და 703.2.4 ცხრილის მოთხოვნებს. 703.2; 703.2.10.1 თანახმად, ვიზუალური სიმბოლოების ზედაპირი და მათი ფონი ამრეკლავია.

1.6. სპეციალური ოთახები და სივრცეები (8 თავი)

ტანსაწმლის გამოსაცვლელი ოთახი წარდგენილია პროექტში. მოსატრიალებელი სივრცე, კარის გაღების მიმართულება, ძელსკამები, ქურთუკის საკიდები, თაროები და სხვა ელემენტები და პარამეტრები შეესაბამება 803 ქვეთავის მოთხოვნებს.

სხვა სპეციალური ოთახები და სივრცეები პროექტში ასახული არ არის.

1.7. ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები

ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები არ არი წარდგენილი პროექტში

1.8.სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებები (10 თავი)

სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებები არ არი წარდგენილი პროექტში

1.9. საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები.

საცხოვრებელი ერთეულები . არ არი წარდგენილი პროექტში

დასკვნა

ზემომოყვანილიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ **„სამეურნეო და საწარმოო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის“** მშენებლობის მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია სრულიად შეესაბამება ,,საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით” დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს.

ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტეკნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: არქიტექტორ ე. კისელიოვ

მოწმობა კვალიფიკაციის შესახებ და თანდართული საბუთები

სახელი, გვარი : ერიკ კისელიოვი
დაბადების თარიღი : 13 ივლისი 1962 წ.
მისამართი : ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #149
ტელეფონი : 5 99 721 123
ელ.ფოსტა : erikizelyov1@gmail.com
განათლება : საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი
პროფესიული გამოცდილება : 38 წლის მუშაობის სტაჟი ინჟინერ-არქიტექტორად
პროგრამების ცოდნა : ArchiCAD, Grasshopper, AutoCAD, Revit, Dynamo, ArcGIS, Photoshop, Artlantis

შესრულებული ობიექტები :

- სამების ტაძარი, ქ.თბილისი
- მრავალფუნქციური შენობები, ქ. თბილისი
- სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“, დ.აღმაშენებლის ხეივანი, ქ. თბილისი
- სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, ც.დადიანის ქ. თბილისი
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები, ქ. თბილისი


Georgia IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ერიკ
ERICK
გვარი / LAST NAME
კისელიოვი
KISELYOV
მოქ. / CIT GEO
სქესი / SEX მმ / M
პირადი No / PERSONAL No 01005000222
დაბადების თარიღი DATE OF BIRTH 13.07.1962
მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY 06.02.2030
ბარათის No / CARD No 19IB17288
ხელმოწერა SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.02.2020
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE019IB17288501005000222<<<<
6207133M3002061GEO<<<<<<<<<<<4
KISELYOV<<ERICK<<<<<<<<<<<<<<<


სერტიფიკატი

№ 2018-006

გადაეცემა

ერიკ კისელიოვს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი

„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი


დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257798

ეს დიპლომი მიეცა ... მასზე, რომ იგი 1979 წელს შევიდა ... და 1984 წელს დაამთავრა ... სრული კურსი სპეციალობით ...

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1984 წ. 10 ... დადგენილებით ... მიენიჭა ... კვალიფიკაცია.

ქალაქი თბილისი 1985 წ. 24. 09

სარეგისტრაციო № 2358

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257798

Настоящий диплом выдан Киселеву Эрику Евгеньевичу в том, что он в 1979 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1984 году окончил полный курс названного института по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от 10 июля 1984 г. Киселеву Э.Е. присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Секретарь

М. П.

Город Тбилиси 24 09 1985 г.

Регистрационный № 2358

Московская типография Гознака. 1981.